ბრძანება:**ბ76. 7625141001**
თარიღი:**21/05/2025**

საქართველო, ქალაქი ამბროლაური

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში სერვისების მომხმარებელთა უკუკავშირის მართვის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე, 54-ე მუხლების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში სერვისების მომხმარებელთა უკუკავშირის მართვის სახელმძღვანელო დანართის შესაბამისად.

2. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში მუნიციპალური სერვისების მომხმარებელთა უკუკავშირის მართვაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულად განისაზღვროს პირველადი სტრუქტურული ერთეული ადმინისტრაციული სამსახური.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე განახორციელოს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ თამარ ქევანაშვილმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (ქ.ამბროლაური კოსტავას ქ. №13).

5. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ზვიადი მხეიძე

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია-
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი